ეს უნდა იცოდე

# HIV ı AIDS

დაამუშავა: მედიცინის დოქტორი Dorota Rogowska-Szadkowska
გრაფიკული პროექტი: heroldart.com

ვარშავა 2015
ISBN 978-83-87068-57-8

უფასო ეგზემპლარი
დააფინანსა ჯანდაცვის სამინისტროს AIDS -ის
სახელმწიფო ცენტრმა.

## რა უნდა ვიცოდეთ HIV-ის შესახებ

**HIV ინფიცირება** ნიშნავს იმას, რომ ორგანიზმში შეიჭრა **შეძენილი იმუნური დეფიციტის სინდრომი**. ვირუსი მრავლდება, რითაც ის აქვეითებს ადამიანის იმუნურ სისტემას, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ ვეღარ ახერხებს ორგანიზმის დაცვას დაავადებებისაგან. HIV ინფიცირება არ იწვევს რაიმე კონკრეტულ სიმპტომებს. თუ არ გავივლით შესაბამის ტესტს შესაძლოა 10-12 წელიწადიც კი ვერ გავიგოთ ინფიცირების შესახებ. ადამიანმა, რომელმაც არ იცის HIV ინფექციის არსებობის შესახებ შეიძლება დაავადდეს AIDS დაავადებით. ამ ადამიანმა შეიძლება დაინფიციროს ხევებიც.

## რა უნდა ვიცოდეთ **AIDS**-ის შესახებ

HIV ვირუსი მკურნალობის გარეშე იწვევს **AIDS**-ს, ანუ **შეძენილი იმუნური დეფიციტის სინდრომს**. AIDS წარმოადგენს **მკურნალობის გარეშე დატოვებული** HIV ვირუსის საბოლოო სტადიას. ეს არის დაავადებათა ჯგუფი, რომელიც ებრძვის HIV ვირუსით დაავადებულის ორგანიზმს. ამ დაავადებების რიცხვს მიეკუთვნება მრავალი ინფექცია და სიმსივნური დაავადება. AIDS -ით ავადდებიან მრავალი წლის განმავლობაში HIV ინფექციით ინფიცირებული პირები. ადამიანები, რომლებმაც იციან ინფიცირების შესახებ მკურნალობენ თანამედროვე თერაპიის საშუალებით, რომელიც აბრკოლებს AIDS ვირუსის წარმოქმნას!

## როგორ შეიძლება მოხდეს **HIV** ინფიცირება?

HIV ინფექცია გადადის 3 გზით:

1 სექსუალური კონტაქტით - დამტკიცებულია, რომ პრეზერვატივი საგრძნობლად ამცირებს HIV ვირუსით ინფიცირების რისკს, თუ დაცულია შემდეგი პირობები: პრეზერვატივი არის მაღალი ხარისხის, მოხდა მისი სწორად გამოყენება, კონტაქტის დასაწყისიდან მის დასრულებამდე იმყოფება თავის ადგილზე, არ გაიხა და არ ჩამოცურდა;

2. **სისხლით** – როდესაც ინფიცირებული სისხლი მოხვდება დაზიანებულ კანზე, ლორწოვან გარსზე მაგ. თვალში, ცხვირში, პირის ღრუში, სასქესო ორგანოებზე ან თუ ნემსის მეორადი გამოყენების შემდეგ მისი შეშვება მოხდება ვენაში (ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების დროს);

3. **ორსულობის, მშობიარობის ან ძუძუთი კვების დროს, თუ ბავშვის დედა დაავადებულია HIV ვირუსით** – რატომ უნდა ჩაიტარონ HIV ვირუსის ტესტი ქალებმა, რომლებიც გეგმავენ ორსულობას (გინეკოლოგი ვალდებულია შემოგთავაზოთ ეს კვლევა), ტესტი უნდა ჩაიტაროს მომავალმა მამამაც.

**არ არსებობს HIV ვირუსით დაავადების რისკი ინფიცირებულ ადამიანთან ერთ ჭერ ქვეშ ცხოვრებით ან მაგ. კინოსა და ბასეინზე სიარულით ...**

**მწერებს (მაგ. კოღოს) ან ცხოველებს არ გადააქვთ HIV ვირუსი.**

## რატომ უნდა ჩავიტაროთ HIV ვირუსის ტესტი?

უმჯობესია ჩავიტაროთ ტესტი და გავიგოთ დიაგნოზი, ვიდრე ვიყოთ ვირუსის მატარებლები და არ ვიცოდეთ ამის შესახებ.

მედიკამენტების რეგულარული მიღება HIV ვირუსით დაავადებულ ადამიანებს აძლევს სრულფასოვანი ცხოვრების საშუალებას. მათ შეუძლიათ გააჩინონ შვილები და იმუშაონ. ადამიანს, რომელმაც იცის HIV ვირუსით ინფიცირების შესახებ შეუძლია დაიცვას როგორც თავისი ასევე მისი ოჯახის ჯანმრთელობა და არ დაუშვას AIDS დაავადების განვითარება.



თუ მომავალმა მშობლებმა იციან დაავადების შესახებ, მათ შეუძლიათ თავიდან აიცილონ შვილის ინფიცირება. რამდენიმე წელია რაც არსებობს კანონი, რომლის მიხედვითაც გინეკოლოგი ვალდებულია შესთავაზოს ორსულ პაციენტს HIV ვირუსის გამოსარიცხი ორმაგი კვლევა. ქალებისთვის, რომლებიც სარგებლობენ სახელმწიფო ეროვნული დაზღვევით ეს კვლევა უფასოა. მომავალ მამას შეუძლია ამ გამოკვლევის უფასოდ გაკეთება საკონსულტაციო-დიაგნოსტიკურ პუნქტში.

## ვინ უნდა ჩაიტაროს HIV ვირუსის ტესტი?

HIV ვირუსის ტესტი უნდა ჩაიტაროს ყველამ ვისაც:

ერთხელ მაინც ჰქონდა სექსუალური კონტაქტი პირთან რომელიც/საც:

» არასდროს არ ჩაუტარებია HIV ვირუსის აღმოსაჩენი ტესტი და არ იცის ინფიცირებულია თუ არა,

» ააქვს HIV ვირუსი, ხოლო კონტაქტი მოხდა პრეზერვატივის გარეშე ან ის დაზიანდა კონტაქტის დროს,



» ჰყოლია ბევრი სექსუალური პარტნიორი,

» იღებდა ნარკოტიკებს ინიექციის გზით,

სექსუალური კონტაქტის დროს არ ხმარობდა პრეზერვატივს (მათ შორის ორალური კონტაქტის დროსაც),

გადატანილი ააქვს ვენერიული დაავადება,

იღებდა ფსიქოტროპულ ან ნარკოტიკულ საშუალებებს ინიექციის გზით, ხელსაწყოების გამოყენებით, რომლებსაც ხმარობდა არაერთი ადამიანი,

გაიკეთა ტატუირება ან პრესინგი (საყურე) არასტერილური ხელსაწყოების გამოყენებით,

ჰქონდა სხვის სისხლთან კავშირი, რომელიც მოხვდა კანის დაზიანებულ ან ფაქიზ ზედაპირზე,

ოდესმე დაკარგა კონტროლი საკუთარ თავზე (ალკოჰოლის, ნარკოტიკების ან სხვა მათრობელა საშუალებების ზემოქმედების შედეგად) და არსებობს ეჭვი იმისა, რომ მოხვდა ზემოთ აღწერილ რომელიმე სიტუაციაში.

ახალი ურთიერთობის წამოწყებამდე კარგია თუ პარტნიორთან ერთად ჩაიტარებთ HIV ვირუსის გამოკვლევას (მაშინაც კი თუ მას დიდი ხანია იცნობთ). ტესტის ჩატარება არის HIV ვირუსის დასადგენი ერთადერთი საშუალება.

## სად გავიკეთოთ ტესტი?

**ტესტის ჩატარება, უფასოდ, ექიმის მიმართვის გარეშე და ანონიმურად,** შესაძლებელია ერთ-ერთ დიაგნოსტიკურ-საკონსულტაციო ცენტრში. ამ ცენტრების მისამართები და მიღების საათები ხელმისაწვდომია AIDS-ის ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე:
**www.aids.gov.pl/pkd**

საკონსულტაციო-დიაგნოსტიკურ ცენტრი გამოკვლევის დროს დაცულია ანონიმურობა. არ არის საჭირო სახელი, გვარის, პირადი მონაცემებისა და დოკუმენტების წარმოდგენა.

მიუხედავად ყველაფრისა უნდა იყოთ სრულწლოვანი. დიაგნოსტიკურ-საკონსულტაციო ცენტრში კონსულტანტი დაგეხმარებათ გაარკვიოთ, ჰქონდა თუ არა ადგილი სახიფათო სიტუაციას და საჭიროა თუ არა ტესტის ჩაბარება. კონსულტანტი გასცემს თქვენს ყველა კითხვაზე პასუხს HIV ვირუსის AIDS -სა და სხვა ვენერიული დაავადებების შესახებ.



## როგორ ხორციელდება ტესტი?

ტესტის შესრულების დროს ხდება მცირე ოდენობით სისხლის აღება, რის შემდეგაც ხორციელდება მასში ვირუსის ანტიგენისა და შესაბამისი ანტისხეულების არსებობის შემოწმება. სისხლის სინჯს ერთჯერადი ხელსაწყოების გამოყენებით იღებს ექთანი. სინჯის ჩაბარებისას არაა საჭირო უზმოზე. ტესტის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ცენტრზე – ის შეიძლება გაგრძელდეს 2-დან რამდენიმე დღემდე.

## როდის შეიძლება ვიყო დარწმუნებული, რომ არ ხარ ინფიცირებული?

ტესტის უარყოფითი (ნეგატიური) შედეგი ნიშნავს, რომ სისხლში არ იქნა აღმოჩენილი HIV ვირუსის ანტიგენი და ანტისხეულები.

თუ ტესტის ჩაბარებამდე 12 კვირის ვადაში არ ჰქონია ადგილი შემთხვევას, რომელსაც შეეძლაო გამოეწვია HIV ინფიცირება, ტესტის უარყოფითი შედეგი ნიშნავს, რომ გამოკვლეული პირი არ არის ინფიცირებული HIV ვირუსით. თუ სარისკო სიტუაციის არსებობის დღიდან ჯერ არ გასულა 12 კვირა შედეგი არ არის ზუსტი და საჭიროა ტესტის განმეორებით ჩატარება ამ პერიოდის გავლის შემდეგ.

## რას ნიშნავს ტესტის დადებითი შედეგი?

შესაძლოა მოხვდეს შემთხვევა, რომლის დროსაც HIV ტესტის შედეგი არის დადებითი (პოზიტიური), მაგრამ ადამიანი არ არის ინფიცირებული. ეს ცდომილება შეიძლება გამოიწვიოს ორსულობამ, მწვავე ვირუსულმა დაავადებებმა, აცრებმა, ავტოიმუნოლოგიურმა დაავადებებმა და სხვა.

**აღნიშნული ტესტის შედეგი არ წარმოადგენს საბოლოო დასკვნას. ინფიცირების დადასტურება უნდა მოხდეს დამადასტურებელი (Western blot) ტესტის საშუალებით.**

ასეთ ტესტებს პოლონეთში ასრულებს მხოლოდ რამდენიმე ლაბორატორია. **დამადასტურებელი ტესტის ჩატარება არ უნდა მოხდეს საწყისი ტესტის ჩატარებამდე.**



## რას ნიშნავს დამადასტურებელი ტესტის დადებითი შედეგი?

**დამადასტურებელი ტესტის დადებითი შედეგი ნიშნავს, რომ გამოკვლევას დაქვემდებარებული პირი არის HIV ინფიცირებული.**

დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ კლინიკას, რომელიც ახორციელებს ARV მკურნალობას. დარეგისტრირება არ საჭიროებს ექიმის მიმართვას. კლინიკების ჩამონათვალი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე **www.aids.gov.pl**.

პირი, რომელმაც დაადგინა, რომ ის არის ინფიცირებული ვალდებულია შეატყობინოს ამის შესახებ თავის პარტნიორს. HIV ვირუსით ინფიცირებულმა პირებმა ყოველი კონტაქტის დროს უნდა იხმარონ პრეზერვატივი.

მეგობრული და პროფესიული კონტაქტის დროს არ არსებობს HIV ვირუსით დაავადების რისკი.

## შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ HIV ვირუსით ინფიცირება!

HIV ვირუსით ინფიცირების საფრთხის შემცველ სიტუაციებში, მაგ. გაუპატიურების ან უცნობი ადამიანის ნემსით შემთხვევით ჩხვლეტის დროს, **დაუყოვნებლივ** მიმართეთ HAART თერაპიით დაკავებულ რომელიმე კლინიკას. ასეთი კლინიკების ჩამონათვალს სადღეღამისო ცხელი ხაზების ნომრებთან ერთად ნახავ ვებ-გვერდზე **www.aids.gov.pl** დანართში *Ekspozycja na HIV*.

რაც უფრო მალე მიიღებ შესაბამის წამალს (საუკეთესო შემთხვევაში 2-3 საათის განმავლობაში), მით მეტია შანსი

თავიდან აიცილოთ ინფიცირების საფრთხე. პროფილაქტიკური პროცედურები ეფექტურია თუ მათი განხორციელება მოხდება 48 საათის განმავლობაში. **გახსოვდეს! დრო ფაქტის მოხდენიდან წამლის მიღებამდე ძალიან მნიშვნელოვანია!**

**უბედური შემთხვევების** შემდგომი პროცედურების ხარჯებს ფარავს ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამა „*Leczenie antyretrowirusowe osób żyjących z HIV w Polsce*“. სხვა შემთხვევებში შესაძლებელია პროფილაქტიკის სრული კურსის უფასოდ გავლა ზემოთ ხსენებული კლინიკების ექიმის მიერ გამოწერილი მიმართვის საფუძველზე. სამუშაოს შესრულების დროს მომხდარი უბედური შემთხვევების ხარჯებს ფარავს დამსაქმებელი ან სამუშაოს დამკვეთი.

მეტი ინფორმაცია HIV-ისა და AIDS-ის დიაგნოსტიკა-მკურნალობის შესახებ ხელმისაწვდომია AIDS-ის ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე – **www.aids.gov.pl**

არსებობს კითხვების დასმის საშუალება ინტერნეტ ის HIV/AIDS : **poradnia@aids.gov.pl**
ან ტელეფონის სამუშაოებით HIV/AIDS: **801 888 448*** i **22 692 82 26**.

* ფასიანია ზარის მხოლოდ პირველი წუთი